ბიბლიოთეკა

პოლიტიკური

ივნისი 14

ვეფხისტყაოსანი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი № 104 (398)

ფასი 40 თეთრი

აფხაზეთი – «ლენინის ერთგული რუსეთის სერიოზული დასაყრდენი»

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრესსამსახურის ცნობით, 10 ივნისს სოხუმში ხელი მოეწერა აფხაზ სეპარატისტებსა და პარტია „ტრუდოვაია როსიას“ წარმომადგენლებს შორის შეთანხმებას, „რუსეთის მმართველი რეჟიმისგან მუჭარის შემთხვევაში“ ურთიერთთანადგომის შესახებ. ინფორმაციის წყაროს ცნობით, საქმე ეხება შეიარაღებულ ალიანსს „ტრუდოვაია როსიას“, რუსეთის ფედერაციის კომუნისტურ პარტიასა და აფხაზეთის კომპარტიას შორის. ამგვარად მოსკოვში მყოფმა სეპარატისტთა ლიდერმა ვ.არძინბამ შეთანხმებას ისტორიული უწოდა და გააცხადა, რომ „აფხაზეთი იყო, არის და იქნება „ლენინის ერთგული რუსეთის სერიოზული დასაყრდენი“.

იწრინდა

გაეროს დამკვირვებლები რუსეთის სამშვიდობო ძალებს აქტიურობისკენ მოუწოდებენ

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში განლაგებული გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა ხელმძღვანელმა, ბრიგადის გენერალმა კალსტრომმა წინადადებით მიმართა დსთ-ის სამშვიდობო ძალების მთავარსარდალს, გენერალ ვასილი იაკუშევს — მიღებულ იქნას ზომები, რათა დაჩქარდეს კონფლიქტის ზონაში მოქმედი ბანდფორმირებებიდან იარაღის ამოღება და აქტიურად დაიწყოს განაღმვითი სამუშაოები. გენერალ კალსტრომის განცხადებით, აღნიშნულ ღონისძიებებში დსთ-ის სამშვიდობო ძალებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ გაეროს სამხედრო დამკვირვებლებიც.

„იბერია“

გაეროს დამკვირვებლები რუსეთის სამშვიდობო ძალებს აქტიურობისკენ მოუწოდებენ

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში განლაგებული გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა ხელმძღვანელმა, ბრიგადის გენერალმა კალსტრომმა წინადადებით მიმართა დსთ-ის სამშვიდობო ძალების მთავარსარდალს, გენერალ ვასილი იაკუშევს — მიღებულ იქნას ზომები, რათა დაჩქარდეს კონფლიქტის ზონაში მოქმედი ბანდფორმირებებიდან იარაღის ამოღება და აქტიურად დაიწყოს განაღმვითი სამუშაოები. გენერალ კალსტრომის განცხადებით, აღნიშნულ ღონისძიებებში დსთ-ის სამშვიდობო ძალებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ გაეროს სამხედრო დამკვირვებლებიც.

„იბერია“

გაიმართა აფხაზეთის მართლმადიდებელ ქრისტიანთა კონფერენცია

საგენტოს კორესპონდენტის ცნობით, 10 ივნისს სოხუმში ჩატარდა აფხაზეთის მართლმადიდებელ ქრისტიანთა მეორე კონფერენცია, რომელიც გახსნა მამა ბესარიონმა. მან დამსწრეთ გააცნო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის წერილი კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეოსისადმი. წერილში აღნიშნული ზოგიერთი ისტორიული ფაქტი. კერძოდ, სოხუმის ეპარქია 1918 წლამდე შედიოდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში. 1918 წლიდან საქართველოში არსებობდა სოხუმის ეპარქია, რომელმაც 1990 წელს შეწყვიტა მოქმედება და მას შემდეგ აფხაზეთში მცხოვრებ ქრისტიანებს არ ჰყავთ ეპისკოპოსი, არ ღებულობენ მატერიალურ დახმარებას და სულიერ საზრდოს. როგორც კონფერენციაზე ითქვა, აფხაზეთის ეკლესიის საკითხი არ შეიძლება გადაწყდეს აფხაზი ხალხის გარეშე. გადაწყვეტილია კვლავ შედგეს ქრისტიანთა შეკრება, ხოლო აფხაზმა ხალხმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელი ეკლესიის მფარველობის ქვეშ შევა — საქართველოს, რუსეთის თუ საბერძნეთის.

იწრინდა

შეხვედრა პოლიციის სამმართველოების წარმომადგენელთა შორის

12 ივნისს გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში შედგა ზუგდიდის რაიონის პოლიციის სამმართველოს, გალის რაიონისა (ქართული მხარე) და გალის რაიონში მოქმედი პოლიციის (აფხაზური მხარე) წარმომადგენელთა შეხვედრა. ითქვა, რომ კონფლიქტის ზონაში გამწვავებული კრიმინალური ვითარების დაძლევისთვის სასურველი იქნებოდა აღნიშნული სამსახურების საერთო კოორდინაცია, ინფორმაციის გაცვლა მხარეებს შორის და სხვა.

„იბერია“

გალის რაიონში გაინაღმა ტერიტორიები გაეროს საგუშაგოებთან

როგორც ცნობილია, უკანასკნელ პერიოდში გალის რაიონის ქედი ზონაში განლაგებული საგუშაგოები დატოვეს გაეროს სამხედრო დამკვირვებლებმა იმ მოტივით, რომ საგუშაგოების მიმდებარე ტერიტორიები დანაღმული იყო. გუშინ გაეროს სამხედრო დამკვირვებლები კვლავ განლაგდნენ მათ მიერ მიტოვებულ საგუშაგოებზე, ვინაიდან დსთ-ის სამშვიდობო ძალების მიერ ზემოაღნიშნული ტერიტორიები გაინაღმა.

„იბერია“

ვითომ ამოქმედდნენ?

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში განლაგებულმა დსთ-ის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა უკანასკნელ დღეებში გალის რაიონში მოქმედი აფხაზი ბოევიკებიდან ამოიღეს 4 ერთეული ავტომატური იარაღი, ტყვია-წამალი და სხვა სამხედრო დანიშნულების ნივთები.

„იბერია“

შეტანილია ჰუმანიტარული დახმარება გალის რაიონის სოფლებში

წიოფელ ჭვრის საერთაშორისო ორგანიზაციამ და აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში განლაგებულმა დსთ-ის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა [illegible] გალის რაიონის სოფლებში [illegible] 160 ადამიანისთვის. ხურსათი და მედიკამენტების გარკვეული რაოდენობა გაგზავნა კოდორის ხეობაშიც.

„იბერია“

აფხაზეთიდან დევნილებმა ბენილუქსის ქვეყნებს მიგრაციული პრობლემა შეუქმნეს

„დღეისთვის ბენილუქსის ქვეყნებში აფხაზეთიდან 250 ლტოლვილი იმყოფება“ — განაცხადა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ერთობლივ სხდომაზე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზურაბ ერქვანიამ. როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრესცენტრში [illegible] ერქვანიამ [illegible] ევროპის ეს ქვეყნები [illegible] ეშინიათ, რომ [illegible] ლტოლვილებს [illegible] ბენილუქსის ქვეყნებში

კავკასიონი

პარასკევი, 14 ივნისი, 1996

პოლიტიკა / ინფორმაცია

№104 (398) 2

ფაქტის ფოტო

გიორგი ცაგარელის ამ ფოტოს, რომელმაც თავდაცვის სამინისტროს გაზეთ "ლემის" კონკურსში გაიმარჯვა 1992 წელს, ჰქვია "წუთშესვენება წყნა ხაზზე". იგი გაგრაშია გადაღებული. ფოტოზე ასაწული მეომარი მ.შუკა კობალაძეა.

ფრონტის წინა ხაზზე ძილი არ შეიძლება. მამუკასაც წუთით სძინავს, ოღონდ – მშვიდად: რადგან მან არ იცის, რომ ფოტოს უღებენ; არც ის იცის, რომ რამდენიმე დღეში აფხაზები გაგრას აიღებენ და მას გუდაუთის ტყვეობის მძიმე განსაცდელი ელის; მის მშვიდ ძილს არც იმის ცოდნა აკრთობს, რომ ტყვეობიდან დაბრუნებული ისევ სოხუმში გაიქცევა და ქალაქის ადებამდე ოთხი დღით ადრე მისი ლამაზი სული სამუდამოდ დამკვიდრდება ცათა სასუფეველში.

ჯერჯერობით კი (მადლობა ღმერთს!) მამუკას სძინავს – მშვიდად და სულ ერთი წამით.

ეს არის წამი, რომელიც შეჩერდა, რადგანაც იგი მშვენიერია!

ვიზიტი

«ღმერთს ქართველებისთვის სამოთხის ნაწილი უბოძებია»

პირველი გვერდიდან

პრეზიდენტების პირისპირ შეხვედრის შემდეგ გაიმართა გერმანია-საქართველოს დელეგაციების მოლაპარაკება, ე.წ. გაფართოებული სხდომა. „კავკასია დიდი გეოპოლიტიკური ხიდია ევროპასა და აზიას შორის, მას, ბუნებრივია, აქვს როგორც ევროპის, ასევე მისი მოსაზღვრე ისლამური სამყაროს სტაბილურობისთვის. ამ რეგიონებში კონფლიქტების დარეგულირება და უსაფრთხოება ჩვენს ინტერესებსაც ეხება. ეს თანაბრად ითქმის როგორც აფხაზეთის, ასევე ჩეჩნეთის, სამხრეთ ოსეთისა და მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში“, — განაცხადა რომან ჰერცოგმა. ოფიციალური დელეგაცია შეხვდა და ესაუბრა საქართველოში გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელს ბატონ ლიეოე ბოტას და საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელს ბატონ დიტერ ბოდენს. აღინიშნა, რომ ამ ორგანიზაციების საქმიანობა საქართველოში მშვიდობის დამყარებისთვის ხელის მიმართულებით ვითარდება: „მე კონფლიქტის ყველა მონაწილეს მივმართავ, რომ მათ მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზების ძიება არ შეანელონ. ამ გზაზე გერმანია საქართველოს კვლავაც მხარში ამოუდგება. ჩვენი სურვილია, რომ თქვენი მშვენიერი ქვეყნის ყველა მოქალაქეს, ქვეყნისა, სადაც სტუმრებს ახე გულთბილად ხვდებიან, მშვიდობიან, ვითარებაში ცხოვრება შეეძლოთ“, — გვისურვა გერმანიის პრეზიდენტმა.

13 ივნისი, ხუთშაბათი — დელეგაცია ხვდება კულტურისა და მეცნიერების ახალგაზრდა წარმომადგენლებს. შეხვედრის დროს არაერთხელ აღინიშნა, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, სიმდიდრე და ძლიერება მის ინტელექტუალურ რესურსებში უნდა ვეძებოთ. ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდების პროფესიულ განათლებას და დასაქმებას. სწორედ ამ მიზნით წარმოებდა მოლაპარაკებები ეკონომიკის სფეროში ახალგაზრდა კადრების მომზადების შესახებ.

ვიზიტის დროს, ჯეროვანი ყურადღება დაეთმო, აგრეთვე, მესამე ხელისუფლებას. სამართლებრივი სახელმწიფო უსაფრთხოების გარანტია, ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოში გარკვეულობას შეიტანს ქვეყნის ინტეგრაციონალურ ურთიერთობებში, დაამკვიდრებს უსაფრთხოებას, რომელიც აუცილებელია უცხოელ ინვესტორთათვის. სწორედ ამიტომ რომან ჰერცოგი ესაუბრა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ბატონ მინდია შარვეხელიძეს.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ გერმანიის საზოგადოებრიობის ყველა სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლები — გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი, მისი აღმატებულება ბატონი ჰანს ფრიდრიხ ფონ პლოტცი და ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების სამინისტროს სახელმწიფო მდივანი, მისი აღმატებულება, ბატონი ვიგარდ ჰერთლი, გერმანიის საქმიანი წრეების წარმომადგენლები, წარმომადგენლები კულტურის სფეროდან. თანამშრომლობა კულტურის დარგში განსაკუთრებით კარგად ვითარდება ამ ორ სახელმწიფოს შორის.

კულტურა და ხელოვნება იყო ის, რაც გერმანიის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტს განსაკუთრებულ ხიბლსა და სილამაზეს მატებდა, რაც დაუფასა კიდეც მახპირნძლებს რომან ჰერცოგმა: „ჩემი აქ ყოფნის პერიოდში მე ვიხილე თქვენი ქვეყნის სილამაზე, მისი კულტურის საგანძურის არაერთი ნიმუში და დავრწმუნდი ქართველთა საოცარ სტუმართმოყვარეობაში. გასაკვირი არ არის რატომ მოყავდა ატტაცებაში საქართველოს გერმანელი მწერლები და მოგზაურები და რატომ ადარებდნენ გერმანულ ლიტერატურაში თქვენს ქვეყანას სამოთხეს“.

სოფო სამყვარელიძე

გაეროს ექიდემიათა გავრცელების საშიშროება

როგორც საგანგებოს კორესპონდენტს ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციიდან აცნობებს, გარდაბნის რაიონის სოფელ ყასალ-ახლოში დაფიქსირებულია მუცლის ტიფის 34 შემთხვევა. აქედან 2 მძიმედ დაავადებული გადაყვანილია ქალაქ რუსთავის იზოლატორში. გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში გასულ კვირას დაფიქსირდა ციმბირის წყლულის რამდენიმე შემთხვევა.

„ობერია“

გაერთიანებული ოპოზიციის ნაწილი ხელისუფლებას ეკონომიკური რეფორმების გატარებაში დაეხმარება

ოპოზიციური პარტიების ნაწილმა, რომელიც ეკონომიკური რეფორმების გატარებაში ხელისუფლებას დაეხმარება, ოფიციალური განცხადება გაავრცელა. ამ განცხადებაზე ხელი მოაწერეს ეროვნული ფორუმის, ეროვნული ალიანსის, ეროვნული ხელისუფლების, ეროვნული ფრონტის, ეროვნული ძალების, ეროვნული ინდიპენდენტების, ეროვნული ბლოკის, ეროვნული ცენტრის, ეროვნული ფრონტის,

მსოფლიო

ნატო

თავდაცვის მინისტრთა თავყრილობა ბრიუსელში

გუშინ ბრიუსელში დაიწყო ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების ტრადიციული შეხვედრა. ამჯერად იგი გაიმართება ახალი ფორმულით — „16+1“, რაც იმის გამოხატულებაა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის განახლებულ სამხედრო ორგანიზაციას რამდენიმე ხნის წინ კვლავ დაუბრუნდა საფრანგეთი.

შეხვედრის მთავარი თემაა: ბოსნიაში სამშვიდობო ოპერაციების მიმდინარეობა და ბერლინში ნატოს გარდაქმნის შესახებ მიღებული შეთანხმების რეალიზება.

გუშინ, სალამოს, ბრიუსელში ჩავიდა რუსეთის თავდაცვის მინისტრი პავლე გრაჩოვი. იგი ნატოს შტაბბინაში აშშ თავდაცვის მინისტრს უილიამ პერის შეხვდა. ბრიუსელში იმყოფება საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძეც.

გაერო

მსოფლიო «გაჭალაქელდა»

ამ დღეებში სტამბულში მიმდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენცია, რომელზეც პლანეტის 185 ქვეყნის წარმომადგენლები შეეცდებიან გადაწყვიტონ ისეთი საკითხები, როგორებიცაა ქალაქების მოწყობა, მათი ინფრასტრუქტურის განვითარება, გარემოს დაცვა, საერთაშორისო თანამშრომლობა და პროექტების დაფინანსება.

ამჟამად მთელ მსოფლიოში შეხამჩნევია ერთი ტენდენცია — მოსახლეობა ტოვებს სოფლებს და ქალაქში ცდილობს დამკვიდრებას. ამას მოსდევს მახობრივი უმუშევრობა, უსახლკარობა, დაშნაშაეთობის ზრდა, ხიღარიბე. თუ ახე გაგრძელდა, 2025 წლისთვის ქალაქის მცხოვრებლები დედამიწის საერთო მოსახლეობის 2/3 იქნებიან. კონფერენცია შეეცდება, საერთო ძალისხმევით გადაჭრას აღნიშნული პრობლემა, რისთვისაც მსოფლიო ბანკი სამი წლის მანძილზე 15 მილიარდ დოლარს გამოყოფს.

კონფერენციაში დხთ-ს ქვეყნებიც მონაწილეობენ. მასზე, მაგალითად, რუსეთმა საკუთარი, ხაკმაოდ დიდი მოცულობის მოხსენება წარადგინა.

აშშ — ევროპა

ევრო-ამერიკული შეხვედრა

ვაშინგტონში ერთმანეთს შეხვდნენ აშშ პრეზიდენტი ბილ კლინტონი, ევროკომისიის თავმჯდომარე ჟაკ სანტერი და იტალიის პრემიერ-მინისტრი რომანო პროდი. მათ განიხილეს ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესის პერსპექტივების, აშშ და ევროსაბჭოს სავაჭრო ურთიერთობების, ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები, აგრეთვე, სიტუაცია ბოსნიაში.

ბილ კლინტონმა განაცხადა, რომ არჩევნები ბოსნიაში, აუცილებლად უნდა ჩატარდეს დეიტონის შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადებში — არაუგვიანეს 14 სექტემბრისა. რაც შეეხება იქიდან ამერიკის სამხედრო კონტიგენტის გამოყვანას, კლინტონის თქმით, ეს პროცესი დეკემბერში დაიწყება.

ბოსნია

წინ პირველი ომისშემდგომი არჩევნებია

ექვსი თვის წინ, დეიტონში...

დეიტონის ხელშეკრულების ხელმოწერიდან ექვსი თვე გავიდა და ახლა მსოფლიოს 40 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები ფლორენციაში იკრიბებიან, რათა იმსჯელონ განვლილ პერიოდში მიღწეული პროგრესის შესახებ. ორდღიანი შეხვედრის დღის წესრიგის სათავეში ბოსნიაში პირველი ომისშემდგომი არჩევნების ჩატარებისა და მისი ზუსტი თარიღის დანიშვნის საკითხი დგას. მიუხედავად იმისა, რომ მზადება საარჩევნო პროცესისთვის უკვე მიმდინარეობს, ჯერ ისევ მოსაგვარებელია რამდენიმე პირობის შესრულება: თავისუფალი გადაადგილება ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე და ლტოლვილთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნება. გარდა ამისა, უნდა შესრულდეს სოციალური დაცვის ყველა ის გარანტია, რომლებსაც დეიტონის შეთანხმება ითვალისწინებს.

ამ პირობათა დარღვევა გამოიწვევს დემოკრატიის უცილობელ მარცხს ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე.

ჩინეთი

«გრინპისმა» უკან დაიხია



საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაცია „გრინპისის“ კუთვნილმა გემმა, რომელიც ჩინეთის ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად, შანხაის პორტში შევიდა, დატოვა ქვეყნის ტერიტორიული წყლები.

გემის ეკიპაჟის ხელმძღვანელობას განზრახული აქონდა, ადგილობრივი ხელისუფლების წყრომადგენლებს შეხვედროდა და პროტესტი გამოეხატა ჩინეთის მიერ ერთ-ერთ სამჭედრო პოლიგონზე ჩატარებული ბირთვული გამოცდების გამო. მაგრამ სასაზღვრო სამსახურმა მოითხოვა გემის უკანვე გაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვლენების შესაძლო განვითარებაზე პასუხისმგებლობა „გრინპისის“ მესვეურებს დაეკისრებოდათ.

ერაყი

ერაყის პოზიციამ გაერო შეაშფოთა

ოთხშაბათს სალამოს შეიკრიბა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო, ამის მიზეზი გახდა ორგანიზაციის ბაღდადის განყოფილების მიხედვითაც, ერაყი რძალავს გაეროს ექსპერტების დაშვებას იმ ობიექტების შესამოწმებლად, სადაც რესპუბლიკური გვარდიის ნაწილებია განლაგებული. ერაყი მიიჩნევს, რომ ეს ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფაა. უშიშროების საბჭოს წევრებმა მოითხოვეს, რომ ერაყმა განუხრელად დაიცვას გაეროს მითითება — დაუბრკოლებლად დაუშვან მათი ექსპერტები ნებისმიერ ობიექტზე, სადაც მასობრივი მოსპობის იარაღის განადგურებაა გათვალისწინებული.

ავსტრალია

კატასტროფა ასაფრენ ზოლზე

ავსტრალიის ქალაქ ფუკუოკაში კატასტროფა განიცადა ინდონეზიის ავიაკომპანიის კუთვნილმა თვითმფრინავმა „10/9“-მ, რასაც, წინასწარი მონაცემებით, სულ მცირე, ოთხი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

თვითმფრინავმა, რომელიც ჯაკარტაში მიფრინავდა, ვერ შეძლო ჰაერში ასვლა, გასცდა ასაფრენ ზოლს, მოძერა შასი და ცეცხლი გაუჩნდა მარჯვენა ძრავს. აეროპორტის ადმინისტრაციის ცნობით, 68 მგზავრი ჰოსპიტალიზებულია. სულ ავიაკატასტროფებში 275 ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის ოთხი უცხოელი, რომელთა ეროვნებაც ჯერჯერობით, კერ დადგინდა.

პაკისტანი

მამაკაცები «სუფთა ჰაერმა» იხსნა

სამხრეთ პაკისტანის ქალაქ ჯაკობაბადში, [illegible] 23 [illegible] ქალები და ბავშვები [illegible] ძალს ამჯობინებენ. სპეციალისტები ტექნიკის დისბალანსით. აგრძელებენ საშვილოსნო საშუალებებს, თუმცა, სახლის [illegible] ქალებს ჰაერწრფელი, იკარგება დრო, არადა, [illegible] ადამიანი მოკვდება. სულ ამ სახლში ცხოვრობდა 15 ოჯახი 150 კაცის შემადგენლობით.

ქალაქის ხელისუფლებას განსაზღვრული აქვს დაზარალებულ ოჯახებს, დახმარების სახით, 2500 დოლარი გადასცეს.

მექსიკა

მექსიკოში, როგორც თბილისში...

ქალაქ მეხიკოს ხელისუფლები პროტესტს გამოთქვამენ ე.წ. „არაფორმალური სავაჭრო წერტილების“ მომრავლების გამო. ამას სუპერმარკეტების მფლობელებიც ეწინააღმდეგებიან, უბრალო მექსიკელები კი ქუჩის ვაჭრობას არიქმენ უპირატესობას მისი სიიაფის გამო. დიდი მაღაზიის მეპატრონეები ქალაქის მეხეურებს უმოქმედობას საყვედურობენ, რამაც, მათი აზრით, „ჩრდილოვანი ბაზრის“ აქტიურობის გამო მათ საქონელზე მოთხოვნილება შეამცირა. შავ ბაზარზე კი, როგორც გაირკვა, ძირითადად, კონტრაბანდული საქონლით ვაჭრობენ და სიიაფეც ამითაა გამოწვეული.

თავად შავი ბაზრის წარმომადგენლები თავს ვაჭრობის სფეროს სრულუფლებიან წევრებად წარმოადგენენ: შეიდან ქუჩის ვაჭრობის პროფკავშირების შემადგენლობაში, ქალაქის ბიუჯეტში იხდიან ადგილის ხარენდო გადასახადს. ამასთან, მექსიკელები მიიჩნევენ, რომ შავი ბაზარი, თანაც ქალაქის ისტორიულ უბნებში, იქცება მანაკ, სადაც ყველა ადამიანს შეიძლება ხელმისაწვდომ ფასებში საქონლის შეძენა.

რუსეთი

ვიზიტი

ელცინი «ჩრდილოეთის დედაქალაქში»

გუშინ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი, უკვე მეხუთედ, სანკტ-პეტერბურგში ჩავიდა. მან ქალაქში მხოლოდ რამდენიმე საათი დაბყო, პროგრამა კი საკმაოდ დატვირთული ჰქონდა. პრეზიდენტმა, თადაპირველად, უვავილებით შეამკო მეორე მსოფლიო ომის დროს ქალაქის დამცველთა მემორიალი. შემდეგ შეხვდა სანკტ-პეტერბურგის მცხოვრებლებს, ახალ გუბერნატორს ვლადიმერ იაკოვლევს. მან დათვალიერა ერმიტაჟის ბიბლიოთეკა, ეწვია ზამთრის სასახლის გიორგიევსკის დარბაზს, სადაც ხელი მოაწერა ხელშეკრულებას სანკტ-პეტერბურგს, ლენინგრადის ოლქსა და ფედერალურ ცენტრს შორის უფლებამოსილებათა გადანაწილების შესახებ. საღამოს კი დაესწრო ცენტრალურ მოედანზე გამართულ მიტინგს.

ტერორი

ტერაქტების სერიალი გრძელდება

ოთხშაბათს, დილით, მოსკოვის მეტროში მოხდარმა აფეთქებამ, რომლის შედეგადაც, როგორც ვიუწყებოდით, ოთხი ადამიანი დაიღუპა და ათზე მეტი დაშავდა, დიდი აფიოტაჟი გამოიწვია როგორც რუსეთის სამართალდამცავ ხისტემებში. მიმდინარეობს ძიება მომხდართან დაკავშირებით. როგორც რუსეთის კერძო სატელევიზიო არხი ირწმუნება, დაკავებულია ორი ეჭვმიტანილი პიროვნება, თუმცა, მოსკოვის უშიშროების სამსახურები უარყოფენ ამ ფაქტს.

ვიდრე გამოძიება რაიმეს დაადგენდეს, 16 ივნისის საპრეზიდენტო არჩევნების ორი მთავარი პერსონა — რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი და კომუნისტთა ლიდერი გენადი ზიუგანოვი ერთმანეთს ამხარულებენ მომხდარს: ისინი აცხადებენ, რომ ეს სპეციალურად მოწყობილი წინასაარჩევნო სპექტაკლია.

ამასობაში მოსკოვი ახალმა ტერაქტმა შეაზანზარა — გუშინ, დილით, მოკლეს მოსკოვის ოლქის ქალაქ ჟუკოვსკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. მისი გვამი დილის 9 საათსა და 30 წუთზე, სადარბაზოს კიბის მოედანზე იპოვეს.

არჩევნები

ზიუგანოვი თავს მხოლოდ ელცინს «უმადრის»

გუშინ რუსეთის ტელევიზიის პირველი არხით უნდა გადაცემულიყო ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატთა პირდაპირი ტელედებატები, მაგრამ კომუნისტების ლიდერმა გენადი ზიუგანოვმა უარი განაცხადა მასში მონაწილეობის მიღებაზე, რადგან ამ ღონისძიებას ვერ დაესწრებოდა ახლანდელი პრეზიდენტი ბორის ელცინი.

უახლოეს ხანში, პრეზიდენტობის კანდიდატი გენადი ზიუგანოვი გადაწყვეტს, დაეთანხმოს თუ არა გრიგორი ავლინსკის წინადადებას ერთი-ერთზე შეხვედრის შესახებ. „ჩვენ უნდა შევხვდეთ არა წარსულისა და ამჟამინდელი სიტუაციის შეფასებისა და ურთიერთკრიტიკისთვის, არამედ იმიტომ, რომ ნათლად ავუხსნათ თანამემამულეებს, როგორ გვესახება რუსეთის მომავალი განვითარების გზები“, — განაცხადა გენადი ზიუგანოვმა.

როდის «განიმუხტება» რუსეთი?

ახლოვდება 16 ივნისის საპრეზიდენტო არჩევნები და ბრძოლა რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის სულ უფრო დაძაბული ხდება. დღეკანდელი პრეზიდენტი ბორის ელცინი ხელიდან არ უშვებს ნებისმიერ შესაძლებლობას, „დაუახლოვდეს“ მასებს და ამით მოზიდაღმდეგეებს დაანახოს, რომ 16 ივნისს სწორედ ის გახდება ხალხის რჩეული — როსტოვისა და მოსკოვის პოპ.-კონცერტებს გუშინ სანკტ-პეტერბურგის შოუ მოჰყვა. ეს შესაძლებლობას ხელევს ელცინს, საკუთარი ხმა რაც შეიძლება დიდი რაოდენობით ხალხს მიაწვდიან, პირველ რიგში — ახალგაზრდობას და განაწყოს ისინი მის სასარგებლოდ.

12 ივნისს კი, როდესაც რუსეთმა დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა, ელცინმა კონტრასტის საჩვენებლად მოახდინა თავისი და კომუნისტი მოწინააღმდეგის პოლიტიკური შეხედულებების შედარება და ზიუგანოვის პოლიტიკას „მოძველებული და ბანკროტისთვის განწირული“ უწოდა.

მაგრამ გენადი ზიუგანოვიც მიუხედავად იმისა, რომ რეიტინგით ჩამორჩება რუსეთის პრეზიდენტს, ფარ-ხმალს არ ყრის. პრეზიდენტობის ათი ოფიციალური კანდიდატიდან სწორედ მისი და ელცინის წინააარჩევნო ბრძოლა იმსახურებს სერიოზულ ყურადღებას. ზიუგანოვმა ისეთი ღონისძიებით, როგორიცაა საუნივერსიტეტო ფორუმი, აჯობა კიდეც ელცინს.

ვიდრე ეს ორი კანდიდატი ერთმანეთს ეჯიბრება, და საკმაოდ „ლამაზადაც“, პოლიტიკური მიმომხილველები შემდეგნაირ პროგნოზს აკეთებენ: შესაძლოა ისე მოხდეს, რომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოახერხოს ხმათა უმრავლესობის მიღება და არჩევნების მეორე ტურის პოლონდინი რუსეთი კიდევ ერთი თვით „დამუხტავს“.

კრემლისთვის «ბრძოლამდე» ორი დღით ადრე...

ზეგ, 16 ივნისს რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. ამ უზარმაზარი ქვეყნის „პირველაკაცობის“ ათი მაძიებელი (მეთერთმეტემ ომან ტულეევმა ამ დღეებში კომუნისტების ლიდერის, გენადი ზიუგანოვის სასარგებლოდ მოხსნა თავისი კანდიდატურა და მისი გვარიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ნიკოლოზ რიაბოვის განკარგულებით, საარჩევნო ბიულეტენიდან ამოღებული იქნა) უკანასკნელ „გრო შებრძოლა“ და ენერგიას ხარჯავს ელექტორატის თვალში იმიჯის ასამაღლებლად. ამ მიზნის მისაღწევ საუკეთესო ფორმად კი, მათ, როგორც ჩანს, პრეზიდენტობის კანდიდატთან შეხვედრები მიაჩნიათ.

გუშინ პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა გენადი ზიუგანოვმა გამართა პრესკონფერენცია თემაზე: „რუსეთი არჩევნების წინ“, ხოლო ვლადიმერ ჟირინოვსკის ბლოკის თემა „ხვალინდელი დღის ამინდი“ იყო (ოგი, ბუნებრივია, პოლიტიკური და არა მეტეოროლოგიური ამინდის პროგნოზირებას ისახავდა მიზნად). არჩევნების წინ ჟურნალისტებთან შეხვედრა მიიჩნიეს საჭიროდ პრეზიდენტობის სხვა პრეტენდენტებმაც — სვიატოსლავ ფიოდოროვმა და მარტინ შაკუმმა.

„დიდი ათეულის“ ზოგიერთი წარმომადგენელი უშიალოდ შუამავლის — პრესის — გარეშე ცდილობს ხალხთან „მართალი“ სიტყვის მიტანას. მაგალითად, მიხეილ გორბაჩოვი აგრძელებს მოგზაურობას და მოსახლეობასთან შეხვედრებს ვლადიმირის ოლქში, ხოლო კოსტრომის ოლქში მოქმედი გენერალ ალექსანდრე ლებედის მხარდამჭერი შტაბი საერთო საქალაქო მიტინგის ჩატარებას აპირებს, რუსეთის დღევანდელმა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა კი კრემლის კედლებიდან ქვეყნის „ჩრდილოეთის დედაქალაქ“ სანკტ-პეტერბურგში ჩასვლა და ამ რეგიონის ახალი გუბერნატორის „დაცნობა“ გადაწყვიტა.

ასე რომ, არჩევნებამდე ორი დღით ადრე რუსეთის პრეზიდენტობის უველა მსურველმა გადამწყვეტ ბრძოლაში საბოლოო რეზერვები ჩააბა.

თურქეთი

ერბაქანი — საყოველთაო ეჭვის „ობიექტი“

თურქეთის ყოფილი პრემიერმინისტრი მესუთ ილმაზი ყველა ღონეს ხმარობს, რათა ხელი შეუშალოს ისლამისტთა ხელისუფლებაში მოსვლას. იგი, როგორც ჩანს, საკმაოდ გაღიზიანებულია იმ ფაქტით, რომ მისი უოფილი მოკავშირე თანსუ ჩილერი ახლა „რეფახის“ ლიდერ ნეჯმეთინ ერბაქანთან კრავს ალიანსს.

გასულ კვირას ერბაქანს ნება დართეს, შეექმნა ახალი მთავრობა, რომელიც ჩილერ-ილმაზის მემარჯვენე კოალიციური მთავრობის კრახით გამოწვეულ შედეგებს გაახათილებს. მაგრამ მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ერბაქანს ეფექტური მთავრობის შექმნის მცირე შანსი აქვს, ვინაიდან იგი „ხალხის ცხოვრებაში კარგად ვერ ერკვევა და არ იცნობს მასების ფსიქოლოგიასა და მოთხოვნილებებს“.

უნდობლად უყურებს ერბაქანს თურქეთის ელიტარული საზოგადოებაც და მასთან ერთად — უშიშროებისა და თავდაცვის სამსახურიც.

„მოღალატე“ თანსუ

ესპანეთი

ვინ წააცალა სამი თითი მოსამართლეს?

ესპანეთის პოლიციამ დაიფიქსირა ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან მოსამართლეზე თავდასხმის ფაქტი. ჯერჯერობით, ვერ მოხერხდა გარკვევა, თუ როგორ მოხდა ასაფეთქებელი ნივთიერება ეროვნული სასამართლოს შენობაში, რომელსაც გაძლიერებული დაცვა ჰყავს. პოლიცია აწარმოებს გამოძიებას ამ ფაქტთან დაკავშირებით, რომლის შედეგადაც მოსამართლე ხოსე ალფარომ მარჯვენა ხელის სამი თითი დაკარგა. მართალია, დანაშაულში ეჭვმიტანილად ბასკთა სეპარატისტული დაჯგუფება ეტა დასახელდა, მაგრამ თავად დაზარალებული უარყოფს ამ ვერსიას. ისე კი, ექსპერტებმა ასაფეთქებელი ნივთიერების ნარჩენების ანალიზის შემდგომ განაცხადეს, რომ ეს არ არის ნაღმის ის ჩვეული ხახეობა, რომელსაც ბასკთა დაჯგუფება იყენებს ხოლმე.

იტალია

ცოდვა – «მხოლოდ» ორი მოქალაქის მოკვლა

როგორც უკვე არაერთხელ ვიუწყებოდით, იტალიის ეროვნულ სასამართლოში მიმდინარეობს უოფილი ესესელი კაპიტნის ერიკ კრიპკეს სასამართლო პროცესი. ბოლო ინფორმაციის თანახმად, მას გამოუჩნდა მხარდამჭერი მოწმე, რომელიც აცხადებს, რომ კრიპკეს თანამონაწილეა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს, ხალხის ულეტის საქმეში, ისინი მხოლოდ ხელქვეითების როლს ასრულებდნენ და მათ დანაშაულად შეიძლება მხოლოდ ის ჩაეთვალოთ, რომ ბრძანებას ემორჩილებოდნენ.

ეს მოწმე 84 წლის გერმანელი კარლ ფრანცია, რომელიც უოფილი ესესელი ოფიცერია და მისი გონებრივი სიჯანსაღე სამედიცინო დასკვნით დასტურდება.

იგი იტალიურად მშვენივრად მეტყველებს და ამბობს, რომ ის და კრიპკე მხოლოდ ჯარისკაცის მოვალეობას ასრულებდნენ და ესესის შტაბის განკარგულების თანახმად, თითოეულ გერმანელ ჯარისკაცს ორი მოქალაქე უნდა მოეკლა.

როგორც ახალი მოწმე ამბობს, სწორედ ეს ცოდვა და „სხვა არაფერი“ აწევთ მასა და კრიპკეს კისერზე.

ჩვენთან

არჩევნების თემა ჩვენთანაც ალელვებს

პირველი გვერდიდან

თოხშაბათს კი კრასნოდარში ხელი მოეწერა შეთანხმებას კრასნოდარის ოლქსა და ჩვენეთის რესპუბლიკას შორის შეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. მიმომხილველეთა აზრით, ეს ხელშეკრულება კიდევ ერთი ნაბიჯია ფედერალური შეთანხმებით გათვალისწინებული რეგიონთაშორისი ურთიერთობების მოწესრიგების გზაზე. დოკუმენტ ითვალისწინებს მის ხელმოწერ მხარეთა შორის სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო, კულტურული და სხვა სახის ურთიერთობების გაღრმავებას.

ხელმოწერის ცერემონიალში მონაწილეობდა რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ოლეგ ლობოკი. ხოლო შეთანხმებაზე უშუალოდ ყუბანის გუბერნატორმა ევგენი ხარიტონოვმა და ჩეჩნეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დოკუ ზავგაევმა მოაწერეს ხელი. ამ უკანასკნელმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმას, რომ კრასნოდარელთა დიდ ღვაწლს ლტოლვილი ჩეჩენი მოსახლეობისთვის გაწეული დახმარების საქმეში. მანვე პრესკონფერენციაზე უთქვიდა ის, რაც ჩეჩნეთში ხდება, შეაფასა, როგორც ეროვნული ტრაგედია და, ამავე დროს, დასძინა, რომ მოსკოვში ხელმოწერილი სამშვიდობო შეთანხმებით დაწყებული სტაბილიზაციის ტენდენცია თანდათან მტკიცდება და რესპუბლიკაში მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი რუსეთის პრეზიდენტისა და ჩეჩნეთის სახალხო კრების არჩევნების ჩატარება.

საბენტო „ფრანს პრესის“ კორესპონდენტთან საუბრისას მიცემულ ინტერვიუში ეკ ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას პრეზიდენტმა ზელიმხან იანდარბიევმა განაცხადა, რომ მისი მომხრეები უოველ ღონეს იხმარ რათა ჩეჩნეთში არჩევნები არ ჩატარდეს.

თუმცა, 16 ივნისის არჩევნები მხოლოდ რუსეთსა და ჩეჩნეთში როდი აღელვებთ. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის პირველმა მოადგილემ ტალბოტმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მზად არის რუსეთის პრეზიდენტის არჩევნების ნებისმიერი შედეგისთვის. ვაშინგტონი მხარს არ უჭერს ერთ რომელიმე კანდიდატს, რადგან „საბოლოო გადაწყვეტილება რუსეთის ხალხმა უნდა მიიღოს“, — ხაზგასმით აღნიშნა მან ერთ-ერთი ინტერვიუში.

ამასობაში, რუსეთის სახელმწიფო საათბირო გუშინ შეუდგა „რუსეთის ფედერაციის ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის უზრუნველუოფის შესახებ“ კანონპროექტის განხილვას. პოლიტიკური მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ასეთი კანონის მიღება განსაკუთრებით აუცილებელია ჩეჩნეთის კრიზისის გაჭიანურების ფონზე.

ხიხო ხარაძე

„ზოოვეტმომარაგების“ რესპუბლიკურ ბაზას და მის ვეტერინარულ აფთიაქებს გააჩნიათ უველა სახის მაღალეფექტური პრეპარატები. ჩვენთან ვეტპრეპარატები უველაზე ხელმისაწვდომ ფასებშია. გარანტირებულია ხარისხი. მოგვმართეთ რაიონების ვეტერინარულ აფთიაქებში და „ზოვეტმომარაგების“ რესპუბლიკურ ბაზაში.

მისამართი: ნავთლული, მატროსოვის 16, მეტრო „სამგორი“.
ტელეფონი: 74-36-62, 74-12-16, 74-02-00

იმ, შვილოსანთა

ნაომი კვიპაროზელი და მაშველი შილეტი

მოუკაცე ენი ლენოქსი

სცენაზე იგი მუდამ სხვადასხვაგვარად გამოიყურება, რასაც შესანიშნავი მაკიაჟის და კონტაქტური ლინზების მეშვეობით ახერხებს. ცხოვრებაში კი ორი ქალიშვილის 40 წლის დედა ივეულებრივი ქალის ცხოვრებით ცხოვრობს. „ჩემი ქმარი და შვილები ჩემთვის უველა სცენაზე იმიჯზე მნიშვნელოვანია“, — აცხადებს მომღერალი.

დონალდ ტრამპის სასახლე

80-იან წლებში დონალდ ტრამპი ერთ-ერთი უველაზე ცნობილი მილიონერი იყო. 1990 წელს საქმე ძალიან ცუდად წაუვიდა და ერთი პერიოდი ფიქრობდა კიდეც, თავისი „ბმბერიის“ ნაწილი გაეყიდა, რათა ვალები გადაეხადა. დღეს იგი კვლავ ზენიტშია.

ბოინგი 727-ის მსგავსი მეორე ალარ შეიქმნება. — ეს თვითმფრინავი მილიონერის სპეციალური დაკვეთით დაამზადეს. ამ ტიპის ბოინგები, ჩვეულებრივ, ასი ან ორასი მგზავრისთვის არის განსაზღვრული. მაგრამ დონალდ ტრამპის ბოინგი 727, როგორც ხვდებით, სულ სხვაგვარადაა მოწყობილი. აქ არ არის ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებული სავარძლები. ამ ბოინგში მსოფლიოში უველეგანტურესი სასტუმრო და სასადილო, საძინებელი და საბაზანო ოთახებია მოწყობილი.

48 წლის ამერიკელი მილიონერის, დონალდ ტრამპის თვითმფრინავში ენით აუწერელი ფუფუნება სუფევს. უველი ოთახის კარის ჩარჩო და სახელური ოცდაოთხკარატიანი ოქროთია მოპირკეთებული (ღირებულება 700000 დოლარია). სასადილო ოთახის ბუფეტი ოქროს ჯურჯლითაა გამოვსებული. დონალდ ტრამპის და მისი 10 წლის მეუღლის, მარლას საბაზანო ოთახში კიდევ უფრო მეტი ოქრო დაგხვდებათ: ხელსაბანი ბაღდადო ოქროსია (ღირებულება 245000 დოლარი), უნიტაზს და ბიდეს თვთრი ტყავის დასაჯდომი აქვს. თვითმფრინავის უველა ოთახი მთლიანად უძვირფასესს მაჰაგონის ხეშია ჩასმული. ამ ძვირფასი ხისავეა „შეურანავი სასახლისთვის“ დამზადებული ავეჯი. უახლესი ტექნიკით აღჭურვილი კინოეკრანი მილიონერის სტუმრებს მოწუენას არ აცლის. მიუხედავად იმისა, რომ თავად მახპინძელი წყლის მეტს არაფერს სვამს, ბოინგის ბორტზე შესანიშნავი ღვინის სარდაფი და უველანაირი სასმელით გამოვსებული ბარია.



როგორ გგონიათ, ამ „სასახლით“ თავიანთი ერთი სასახლიდან მეორე სასახლემდე ფრენა რა უჯდება ტრამპების ბატარა ოჯახს? — 30000000 დოლარი!

მეტისმეტი ხომ არ არის?

მოამზადა ნათია ფანჯიკიძემ

ყოველდღე უფასო განცხადებები მხოლოდ «კავკასიონის» მკითხველთათვის. დაგვირეკეთ და განცხადება მეორე დღის ნომერში გამოქვეყნდება. ტელ.: 29-48-05.

იქიდება

■ სამოთახიანი სარემონტო ბინა, რკინის კარებით და ტელეფონით, მეორე სართულის მიშენების პერსპექტივით. აბასთუმანის 2. მეხუთე სართული, ბინა 22. საწყისი ფასი 18000 ლარი. ტელ.: 51-39-14 (დღისით), 73-33-24 (საღამოს), ანგელინა.

თბილისიდან 24 კმ. დაცილებით სოფ.ორბეთში საკუთარი ხახული 4 ოთახით, ლოჯიით, საერთო ფართობი 200 კვ.მ., დაკომპლექტებული უცხოური ავეჯით და ხაოსახო მოწყობილობით, 3000 კვ. მ. მიწის ნაკვეთით მსხმოიარე ხეხილით. ფასი შეთანხმებით, ტელ.: 22-64-71.

■ სამოთახიანი ბინა დინამოს სტადიონთან. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-31-95.

■ სასწრაფოდ ხილიანზე ოთხოთახიანი ბინა ბელეტაჟზე, გადაკეთებული ორსართულიანად. საერთო ფართი 280 კვ.მ., ორი საგარაჟე ადგილით და მასალით, უმაღლესი ხარისხის რემონტით, ტელეფონით, დასამთავრებელია სამღებრო სამუშაოები. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 51-82-41, 36-51-31.

■ სამოთახიანი, კაპიტალურად გარემონტებული კუთხის ბინა ბათუმში (ზღვასთან ახლოს), კაპიტალური ავტოფარეხით. ტელ.: (ბათუმში) 7-18-51, 7-37-19; (თბილისში) 99-73-00, 33-36-19.

■ ჩეხური პროექტის ოთხოთახიანი ბინა მეტრო „დელისთან", 2-სართულიანი სახლის მე-6 სართულზე, სარდაფით, ლოჯიით, ორი აივნით, ტელეფონით, რკინის კარით, გასარემონტებელ მდგომარეობაში. ტელ.: 89-08-75.

■ 2-ოთახიანი ბინა (28 კვ.მ.) სამსართულიანი სახლის მე-3 სართულზე. ტელეფონით. სარდაფით. ტელ.: 96-46-01.

■ 2-ოთახიანი ბინა (44 კვ.მ.) სამსართულიანი სახლის მე-3 სართულზე. საკუთარი სამზარეულოთი, ტელეფონით, სარდაფით, „აგე"-თი და „კალინკით". ტელ.: 96-46-01.

■ ვაკეში ერთოთახიანი, იზოლირებული პრივატიზებული ბინა, ფინური სამზარეულოთი, მაღალი ბელეტაჟით, პირველ სართულზე. ფასი შეთანხმებით. 22-22-48, ნათელა.

■ სამოთახიანი ბინა, ბახტრიონის 11, პირველი სადარბაზო, მერვე სართული (15-სართულიან სახლში), ბინა 26. ტელ.: 37-16-80, გარაჟით, ფასი შეთანხმებით.

■ სამოთახიანი სუფთა ბინა ტელეფონით. 5-სართულიანი სახლის მეოთხე სართულზე (ფასი შეთანხმებით). ტელ.: 99-05-21.

■ გურამიშვილის მტკვართან ახლოს ორსართულიანი საკუთარი კაპიტალური სახლი მანსარდით, ტელეფონით, 600 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთით, ხეხილის ბაღით და ყურძნის ხეივნით. პირველ სართულზე სამი ოთახი, (20+18+10 კვ.მ.), სამზარეულო 12 კვ.მ., ტუალეტი და აბაზანა. მეორე სართულზე ხუთი ოთახი, გარემონტებული, (32+20+20+16+12 კვ.მ.) სამზარეულო 16 კვადრატული მეტრი. ჰოლი 12 კვ. მ., ორი ტუალეტი და ორი აბაზანა. ფასი შეთანხმებით.
ტელ.: 61-80-73, ძმები დარიშვილების ქ. 10 ა.

■ სასწრაფოდ მშენებარე ხუთოთახიანი ბინა, ვაკეში, საცურაო აუზთან. 250 კვ. მ. საერთო ფართი. ავტოფარეხით. ბინა დამთავრების სტადიაშია. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-18-57.

■ ორსართულიანი კაპიტალური საცხოვრებელი სახლი დაბა მანგლისში, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით. ტელ.: 36-36-70, გუჯა (ფასი შეთანხმებით).

■ საავარაკე მიწის ნაკვეთი თბილისიდან 45 კმ-ის დაშორებით, დიდგორზე. ფასი 1000 დოლარი. ტელ.: 36-36-70, გუჯა.

■ დიდი დიდმის პირველ მე-2 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 30-00-63.

■ ოროთახნაბევრიანი ბინა მესამე მასივში, ზემო პლატო, მე-10 კორპუსი, მე-8 სართული. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-37-88, ნანა.

■ სასწრაფოდ სამოთახიანი სუფთა ექსპერიმენტალური პროექტის ბინა ნუცუბიძის მესამე მ/რში, მეოთხე კვარტალი, პირველი კორპუსი, მე-10 სართული, ბინა 37. რკინის კარითა და კაპიტალური ავტოფარეხით. ტელ.: 38-36-19, იკითხეთ ჯაშუში, დღის საათებში; 99-73-00, იკითხეთ გიგი 20 საათის შემდეგ.

■ ოროთახიანი ბინა, ლოჯიით, ტელეფონით, მანჭალის დასაყენებელი ადგილით. გისოსებით, რკინის კარით. მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან", ამბრელაურის ქ.166. ფასი 23000 დოლარი. ტელ.: 37-23-78 ან 37-29-73.

■ ... ოთახი, ან გირავდება ერთი წლით (გამოდგება საოფისედაც) შანიძის ჭუჭაზე (ყოფილი კალანდარიშვილის). ტელ.: 23-56-22.

■ ხუთოთახიანი ბინა მუხიანში 100 კვადრატული მეტრი ფართობით, მეხუთე სართულზე, სარდაფით და ორი გარაჟით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 63-27-57 ან 98-60-06.

■ ოროთახნაბევრიანი ბინას, გადაკეთებული სამოთახიანად. გარემონტებული, ტელეფონით, რკინის კარით, სათავსოებით. ანტენებია გამოცვლილია. ცხრასართულიანი სახლის მე-2 სართულზე. (ვარკეთილის მეტროსთან). მანქანის სადგომით, პატარა ბაღით. ფასი 10000 დოლარი. ტელ.: 99-05-33 (დღისით), 73-19-26 (საღამოს), იკითხეთ თამრიკო.

■ ორსართულიანი კაპიტალური შენობა, მეორე სართულზე, ოთხი ოთახი, პირველზე 3 ოთახი, სარდაფი და დამხმარე სათავსოები, საკუთარი გათბობა და წყალგამაცხელებელი 400 კვ.მ. ეზო, ხეხილიანი ბაღი. ფასი 30000 ლარი. მეტროში ნის დასახლება, მთისპირი 70. ტელ.: 39-63-04, ვახო.

■ 2-ოთახიანი კერძო სახლი (20,5+17,5) შუშაბანდით, საერთო ეზოთი, სარდაფით, დამხმარე სათავსოებით, აბაზანით. ტელეფონით. იმავე ეზოში ცალკე პირველ სართულზე ორი ოთახი (27+18) ბაღით, ყოფილ მალაკნების ბაზართან, 9 ძმის ჭუჭა 21. ფასი 20000 დოლარი. ტელ.: 51-43-28.



საბურთალოს ცენტრში მეტრო „პალიტრასთან" ქმისაგან ქ. მზრეულის 2-ოთახიანი ბინა, 3 სართულიანის ქირაში პირველ სართულზე (45 კვ. მირითადი ფართი + აივანი 14 კვ.მ. + სამზარეულო 4 კვ.მ.) გარემონტებული, ხელახლა ტელეფონით, რკინის კარებით, გისოსებით, პატარა მიწის ნაკვეთით. ტელ.: 37-44-49.

ვაჭრობა

ერთოთახიან ბინას ვაკეში მოსაშენებელის ნაკუთზე ვაკის პარკთან ახლოს. ტელ.: 34-31-95.

ზემო წყნეთში საკუთარ სახლს ტყის პირას, დიდი ეზოთი, ტელეფონით, სახლი კეთილმოწყობილია. ტელ.: 39-22-24, 31-85-64.

სარდაფს აღმაშენებლის გამზირზე (№100) მოსახერხებელია კომერციული საქმიანობისთვის. ტელ: 96-85-82

■ ოროთახიან ბინას ქავთარაძის ჭუჭაზე, ტელეფონით და აივნით. ტელ.: 22-16-75.

■ სარდაფს ვაკეში. შესასვლელი ეზოდან. ტელ.: 22-66-96.

■ საგარაკე სახლს წყნეთში. ბინა ორსართულიანია, დიდი ეზოთი. მისამართი: წყნეთი. ტაბიძის 17. შესახვევი სახანძროსან. ტელ.: 22-85-17. მაყვალა.

■ უცხოელებზე მაღალ ბელეტაჟზე. არასტანდარტულ, მაღალჭერიან ერთოთახიან ბინას ლოჯით. გარემონტებული, აივნით. ფასი 250 ლარი. თაყაიშვილის 4-ა, პირველი სადარბაზო, პირველი სართული, ბინა პირველი. ტელ.: 22-70-10.

■ ოროთახნახევრიან ბინას, სარაჯიშვილის მეტროსთან, თვეში სამოცი ლარი. ტელ.: 39-14-52.

ბულვართან ბინას სარდაფით, ტელეფონით, მდებარეობს კოსმეტიკურნიების მოედანზე. შესასვლელი ეზოდან და ქუჩიდან. სახურველია ავტოსაწყობისთვის. ტელ.: 99-61-39, 36-42-30.

ავტობაზრობა

■ აგარაკს წყნეთში, თამარ მეფის (ყოფილი კეცხოველის) ჭუჭაზე — მეორე სართულზე, ერთი ოთახი შუშაბანდით, პირველ სართულზე სამზარეულო, ტუალეტი და დამხმარე ოთახი. იმავე შენობაში ქირავდება ოთახნახევარი ცალკე სამზარეულოთი და ტუალეტით. გვაქვს ტელეფონი. ტელ.: 22-71-54 (დალი).

■ ოთახნახევრიან ბინას ტელეფონით მე-4 სართულზე 8-სართულიანში, და-ძმაზე, ცოლ-ქმარზე, დედა-შვილზე. ფასი 80 დოლარი. ტელ.: 39-44-82.

■ ტატაბიძის №90-ში სამოთახიან იზოლირებულ, კეთილმოწყობილ ბინას, მანქანის დასაყენებლით ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-17-31, 90-71-9ა.

■ ოროთახიან იზოლირებულ ბინას ტელეფონით და აივნით ვაჟა-ფშაველას მეექვსე კვარტალში. ტელ.: 22-13-77.

■ 2-ოთახიან გარემონტებულ ბინას ლოჯიით, ტელეფონით, მანქანის სადგომით. 5-სართულიანი სახლის პირველ სართულზე. მეტრო სამედიცინო ინსტიტუტთან. ფასი 200 დოლარი.
ტელ.: 37-23-78, 37-29-73.



ავტობაზრობა

■ ვეფხვი მუშის ტანსაცმელს (спецовка) 2000 ცალი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 60-52-02. იკითხეთ დათო.

■ ვეფხვი საძინებელ გარნიტურს „ზაკარპატსკაია"; გერმანულ საძინებელს; პიანინოს; ბრინჯაოს ჭაღს; „სერვანდს"; ძველებურ სარკეს; მაცივარს, ტელევიზორს „სამსუნგი"; საკერავ მანქანას (პოლონური); იუგოსლავურ საბეჭდ მანქანას; დივანს.
ტელ.: 36-46-01.

■ ვეფხვი კედელს, ფასი 1700 ლარი.
ტელ.: 95-31-18 (რუსუდანი).

■ ვასწავლი ჭალთა საპარიკმახერო საქმეს და კოსმეტიკას. ტელ.: 95-30-35 (დღისით).

■ ვეფხვი 6-კაციან გასაშლელ კარავს. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-32-26.

■ ვეფხვი საბეჭდ მანქანას ქართული შრიფტით, კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 51-78-54, იკითხეთ ნაილი.

■ ვასწავლი სალაპარაკო ენას რუსულსა და ინგლისურში. ვამზადებ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ინგლისურ ენაში. ფასი: 96-28-94.

■ ვეფხვი ტესებურ მილებს სოფელ წავკისში.
ტელ.: 22-66-96.

■ ხის მასალის მსურველებს ვთხოვთ დაგვიკავშირდნენ: 34-59-84, თემური, 36-86-70, გუჯა.

ვეფხვი საქალალდეებს, ყავისფერი, 1 კ.-ში 20 თეთრი. მინიმალური პარტია 1000 ცალი.
ტელ.: 29-32-51 ლია.

ვეფხვი სასწრაფოდ თესლოელის ბრიგადის 4-ოთახიანი ბინისთვის გაშვებულ ორშვილ ცოლ-ქმარს. ძველ თვიან ტელ.: 31-66-04 — ნანა, 29-32-61 — ნანა.

■ ვეფხვი გერმანული წარმოების კომბინირებულ „ჰელგეს" და საწერ მაგიდას. ტელ.: 37-36-34.

■ ვეფხვი გერმანულ შავი ფერის როიალს „ბეკერი", ფასი შეთანხმებით. ტელ.: 74-52-66.

■ ვეფხვი საკრავ მანქანას „პოდოლსკი". ფასი 80 ლარი. ტელ.: 73-88-88, იკითხეთ ხათუნა ან ნანა.

■ ორგანიზაციას აქვს დიდი რაოდენობით მაკულატურა. მსურველებს ვთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით — 96-97-03, 96-97-04.

■ ვეფხვი კონდიციონერს „ЮК-2500", ფასი შეთანხმებით. ტელ.: 51-43-28.

■ ვეფხვი ტრენაჟორს, „ვეფ", კაბინეტის საწერ მაგიდებს (15 ცალი, ახალი, თბილისის წარმოების). საბჭოური ავტომობილების მასშტაბურ მოდელებს, კოლექციონერისთვის. ტელ.: 38-62-29, 29-35-25, 29-29-19.

■ მოვუვლი ბავშვს 1 წლამდე. ტელ.: 39-08-60.

■ ვეფხვი კაფელს, მეტლახს, უნიტაზს (ნიაგარა კომბლეტში) და სამზარეულოს მაგიდას თავისი ოთხი სკამით. ტელ.: 98-57-67 (სახლი), 99-05-33 (სამსახური), მაია.

■ ვეფხვი გერმანულ ფაბრიკის ვიოლინოს, სტრადივარიუსის ასლი, ოთხი მეოთხედის ზომა. თავისი ფუტლიარით. ტელ.: 39-45-23, ნინო.

■ ვეფხვი სამედიცინო ენციკლოპედიას რუსულ ენაზე, 35 ტომი. საბავშვო ენციკლოპედიას — 10 ტომი, რუსულ ენაზე. პოლიციერების ენციკლოპედიას — 5 ტომი, რუსულ ენაზე. ტელ.: 38-69-92.

■ ვეფხვი რუსეთის პიანინოს „ვლადიმირი", შავი ფერის, კარგ მდგომარეობაში. ფასი 300 ლარი.
ტელ.: 99-66-48.

■ ვეფხვი ყურძნის საწურს თავისი წნეხით. მუშაობს როგორც დენზე, ისე ხელით. 1 სთ-ში წურავს 1 ტ. ყურძენს. ფასი შეთანხმებით.
ტელ.: 22-41-86, ანა.

■ ვამზადებ გერმანულ ენაში, ვთარგმნი ვიზებს, წერილებს და ა.შ. ტელ.: 98-45-53, დათო.

■ ვეფხვი ბელორუსიის პიანინოს, კარგ მდგომარეობაში, შავი ფერის, ფასი 300 ლარი.
ტელ.: 51-59-22, 51-73-15.

■ ვეფხვი 96-გრადუსიან ხორბლის გერმანულ სპირტს 230 ლიტრიან კასრებში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-23-93, 23-00-79.

იქიდება სასწრაფოდ „მერსედეს ბენცი-123" „102" ძრავით, ბამპერიწის. ავტომატიკა. საშეთესო ჭიქით. მარიეგაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-48-05, იკითხეთ გარლი.

■ ვეფხვი ავტომანქანა ვაზ 21-21. გამოშვებული 1990 წელს, თეთრი ფერის, კარგ მდგომარეობაში (ვეფხვით როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით). ტელ.: 51-45-52.

■ ვეფხვი მანქანას მაზდა-626, კარგ მდგომარეობაში. გამოშვებულია 1986 წელს, ევროპული ვარიანტი. ტელ.: 39-12-90, იკითხეთ გია, საღამოს.

■ ვეფხვი 06 მარკის ავტომანქანას, თავისივე მატორით, 12 წლის, კარგ მდგომარეობაში.
ტელ.: 95-13-13, ფასი შეთანხმებით.

■ ვეფხვი თეთრი ფერის 6 წლის ავტომანქანა „ტავრია" (კარგ მდგომარეობაში). ფასი 1200 დოლარი.
ტელ.: 93-14-66, იკითხეთ თეიური.

■ ვეფხვი 1985 წელს გამოშვებულ ავტომობილს „ოპელ-კადეტს". ფურგონით, (დიზელზე). კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით
ტელ.: 39-17-26, 39-43-55.

■ ვეფხვი 1983 წელს გამოშვებულ ვაზ-2106 03-ის ძრავით. მუშა მდგომარეობაში. ფასი 1600 ლარი.
ტელ.: 23-54-54.

■ ვეფხვი ავტომანქანა „მაზდას". შეიდნახევარი წლის, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-55-78.

■ ვეფხვი ძარას (კუზავა) „მოსკვიჩ-2141".
ტელ.: 22-17-33, ოთარი.

■ ვეფხვი შეღავათიან ფასში ვაზ-05, ვაზ-07, ვაზ-08 მანქანის სათადარიგო ნაწილებს. ტელ.: 66-02-01.

■ ვეფხვი სასწრაფოდ ა/მანქანას „ფორდ სკორპიო" 1986 წ. გამოშვებული, კარგ მდგომარეობაში, ფერი ცისფერი პერლამუტი, საწყისი ფასი 5800 დოლარი. შეიძლება გაცვლაც.
ტელ.: 22-38-52, იკითხეთ დათო.

■ ვაჭრავებ რკინის გარაჟს ორმოთი პეკინის ჭუჭაზე თვეში 25 ლარად. ტელ.: 37-38-49.

■ ვეფხვი ა/მანქანა ვოლგას ГАЗ-21. ფასი 900 დოლარი. ტელ.: 37-21-33. იკითხეთ გია.

■ ვეფხვი ხუთსიჩქარიან კოლოფს, ჭარხნული, ახალი, ვაზ 09, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-44-65, 93-47-66, იკითხეთ კახა.

■ ვეფხვი ძრავს „იფ-56" თავისი „ისპარიტელებით", კარგ მდგომარეობაში. ფასი 350 ლარი. ტელ.: 31-31-79, 93-55-14.

■ ვეფხვი უაზ-452 სატვირთო, 1990 წელს გამოშვებული, გავლილი აქვს 36000 კმ. ფასი შეთანხმებით.
ტელ.: 99-89-62, იკითხეთ კაკო.

■ ვეფხვი ან ვცვლი სასწრაფოდ ბინაზე ავტომანქანას „Маз-504", კარგ მუშა მდგომარეობაში. ავტომანქანის ნახვა შეიძლება ყოველდღე გლდანის გადასხვევთან სატვირთო ავტომანქანების ბაზრობაზე 8-დან 22 საათამდე. ავტომანქანის ნომერი 73-73 ГАУ. ტელ.: 38-52-06.

ვიქიდი

■ საბურთალოს ცენტრში ოროთახიან ბინას 25000 ლარის ფარგლებში. ტელ.: 95-30-35, დღისით, 22-00-46, საღამოს.

■ ვარკეთილის, ახმეტელის ან სარაჯიშვილის მეტროსთან ახლოს არასტანდარტულ სამოთახიან სუფთა ბინას ტელეფონით, მანქანის სადგომით (პირველი და მაღალი სართულების გარდა), 8700 ლარის ფარგლებში. ტელ.: 95-30-35, დღისით.

■ საბურთალოს ცენტრში 4-ოთახიან არასტანდარტულ მაღალბეტონარიან ბინას მე-2, მე-5 სართულებზე, 50000 დოლარის ფარგლებში. ტელ.: 95-30-35, დღისით, 33-35-53, საღამოს, თამრიკო.

■ კომპაქტურ (ატარა) მეჭანიკურ საბეჭდ მანქანას. ქართული შრიფტით. შეღავათიან ფასებში.
ტელ.: 51-53-29.

■ მუშა მდგომარეობაში მყოფ ავტომანქანას 600 ლარის ფარგლებში. ტელ.: 61-33-45.
იკითხეთ ლორინა.

■ ერთოთახიან ბინას საბურთალოზე, მეტროსთან ახლოს, 11000 ლარის ფარგლებში. პირველ და ბოლო სართულებს ნუ შემომთავაზებთ. ტელ.: 33-18-06, ლია.

■ როიალს. ტელ.: 22-46-49.

ვცვლი

■ სამოთახიან ბინას, აგურის სახლის პირველ სართულზე, მოსკოვის გარეუბნიდან (25 წთ. სავალი კურსკის ვაგზლიდან) თბილისში ოთხოთახიან ბინაზე. მასივებს ნუ შემოგვთავაზებთ. ტელ.: 35-12-46, 93-14-31.

■ ერთოთახიან პრივატიზებულ ბინას სამგორის რ-ში ჭიჭინაძის ქ. №1, 9-სართულიან კორპუსის მე-6 სართულზე. ბინა გარემონტებულია. ოთახის ფართი 21 კვ.მ. ლოჯი 8 კვ.მ., სამზარეულო 8 კვ.მ., იატაკი პარკეტის, ვანაში და სამზარეულოში კაფელი, ტელეფონი, ასევე გარემონტებული სარდაფი. ვთხოულობ: ერთოთახიან ბინას იზოლირებულს კორპუსში საბურთალოს რაიონში.
ტელ.: 95-66-52, ჟანა.

■ 1,5-ოთახიან იზოლირებულ ბინას ამოშენებული ლოჯით, რომელიც მდებარეობს მეტრო ვარკეთილიდან 1000 მეტრის დაშორებით, მეორე მიკრორაიონში (პლატო) კორპ. 22, ბინა 25. ნუცუბიძის პლატოს ან საბურთალოს რომელიმე კვარტალს იგივე მოცულობის ან ერთოთახიან ბინაზე.
ტელ.: 31-14-53, 73-02-69, 73-59-26, ციალა, თამარი, ნინო.

გარდაიცვალა მაკა მაყაშვილი...

ძნელია, ამ მძიმე წუთებში რაიმე განზოგადებულად თქვა ნაადრევად წასულ მეგობარზე. ძალიან ძნელია, იცი-ალარაკო მასზე უკვე მხოლოდ მოგონებებით. და ეს მაშინ, როცა გესმის მისი ხმა, ცნობ მის ნაბიჯებს, გრძნობ მის განუმეორებელ მზერას, მაგრამ ველარასდ ბოლოს-ბ. იცი, რომ ეს აღარაა რეალური და ნუგეშად ისევ მოგონება რჩება.

შენში არაჩვეულებრივი ზომიერებით იყო შეხამებული მოსიყვარულე შვილის, უთბილესი მეუღლის, მოსაკრძალე დედის, მზრუნველი და მოამაგე ბებიის, ღირსეული და ერთგული მეგობრის მხოლოდ შენთვის ჩვეული თვისებები. ბუნებით გჭონდა მომადლებული უზადო კეთილშობილება, სიდარბაისლე, სისპეტაკე, სულიერი სიმაღლე და განუმეორებელი სილამაზე. ჭეშმარიტი თავადიშვილი იყავი, დაბადებული მხოლოდ სიკეთის ქმნისთვის.

შენი სიხარული და საზრუნავი, შენი დარდი და ტკივილი შენი ქვეყანა, ოჯახი, ნათესავები და მეგობრები იყვნენ. იცოდი, რომ ერის სამსახური ერთი ქართველი ქალის კვალობაზე მაღალი პროფესიონალიზმია, და შენი საქმის საუკეთესო სპეციალისტი იყავი — შესანიშნავი ქიმიკოსი. შენი აზრი ყველასთვის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი იყო ხოლმე.

ჩვენთვის, შენი მეგობრებისთვის, ძნელი წარმოსადგენია უშენობა, კიდევ ერთი ღირსეული მანდილოსანი გამოაკლდა წუთისოფელს...

ჯვროსვორდი

თარაზულად: 6. მონასტერი, ოგივე-; 6. ხურდა ფული უნგრეთში; 9. გულის დაავადება; 11. სწორად აზრდილი, უტოტაბო ხე; 12. გონებრივი განვითარების დონე; 15. ხალხური გონებამახვილური მოკლე გამონათქვამი; 18. ხის სახელდახელო ნაგებობა; 19. მინერალური წყალი; 20. დიდი ეპიკური ნაწარმოები; 21. სატელევიზიო გადაცემა; 24. მოქალაქის ან იურიდიული პირის სამართლებრივი მდგომარეობა; 25. ამერიკის შტატი; 27. განუხორციელებელი ოცნება, ილუზია; 31. შალვა ღამბაშიძის მიერ განსახიერებული პერსონაჟი ჭ. მანაგაძის ფილმში „პირველი მეზობლები"; 33. გარეული ფრინველი; 34. ფრანგი კინოვარსკვლავი ჭალი; 35. ხალხური ჩასაბერი საკრავი; 36. თავისუფალი ყოფაქცევის ქალი ძველ საბერძნეთში.

შვეულად: 1. იაპონური პოეზიის ჟანრი — სამტაეპიანი 17-მარცვლოვანი ურითმო ლირიკული ლექსი; 2. ცეცილია წუწუნავას კინოროლი ვ. ტაბლიაშვილის ფილმში „ქეთო და კოტე"; 3. ფერადი ლითონის სიფრიფანა ფურცელი; 4. თავაშვებული, წრეგადასული დროსტარება, ჭეიფი; 7. ისტორიული მხარე იმერეთში; 8. იაპონის კლასიკური თეატრის ერთ-ერთი სახეობა; 10. ოთარ მეღვინეთუხუცესის მიერ განსახიერებული პერსონაჟი, ფილმში „ნატვრის ხე" ან სხვისი უფლებების ძალადობით მითვისება; 13. რისამე უკანონოდ ხელში ჩაგდება; 14. არაკეთილსინდისიერი ხერხი რამე მიზნის მისაღწევად. — ხრიკი; 16. მოწმობა, რომელიც იძლევა კერძო ვაჭრობის ან რეწვის უფლებას; 17. დიდი ბრიტანეთის ადმ. — პოლიტიკური ნაწილი; 22. სპეციალური სადგომი, საიდანაც აწარმოებენ რადიო და ტელეგადაცემებს; 23. მდინარე გარდაბნის რაიონში, მტკვრის მარცხენა შენაკადი; 25. ამერიკელი კინოვარსკვლავი; 28. მთავარი პერსონაჟი ფილმისა „ცრუზანა"; 29. რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი მდინარე; 30. ზღვის დონიდან შედარებით მაღლა მდებარე ვაკე, რომელიც უერთდება დაბლობს; 32. ადმინისტრაციულ- ტერიტორიული ერთეული მეფის რუსეთში.

მაია ინაური



წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯროსვორდის პასუხები

1. ავანგარდი; 2. ნაგანი; 3. შორენა; 4. როიალი; 5. ლაგუნა; 6. გარდატეხა; 7. პრაიდი; 8. დეტალი; 9. სატირა; 10. ტირადა; 11. ყორანი; 12. ბარპია; 13. იდიადა; 14. აისორი; 15. ტორტრა

შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია" კონკურსის წესით აცხადებს თანამშრომელთა მიღებას შემდეგ სამუშაო ადგილებზე:

რეალიზაციის სუპერვაიზერი:

უმაღლესი განათლება, ინგლისური ენა 25 წლამდე

მდივანი:

ინგლისური და თურქული ენების ცოდნა კომპიუტერზე მუშაობის ცოდნა.

შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია"
მისამართი: აკ. წერეთლის 114
ტელეფონი: 34-65-36

■ ან იცვლება საბურთალოს ცენტრიდან ინდივიდუალური პროექტის ხუთოთახიანი ბინა (ორი ოთახი ახალშენებულია) ორ ოროთახიან ბინაზე საბურთალოზე. ტელ.: 38-76-15, მისამართი: იოსებიძის ქ. 51 ბ, მესამე სად. ბინა 27.

■ გარემონტებული იზოლირებული ოროთახნახევრიანი ბინა (გადაკეთებულია სამოთახიანად), ტელეფონით. მისამართი: ჩოლოყაშვილის ქ. (ყოფილი ხუთი დეკემბრის) მეორე კვარტალი, მე-5 კორპუსი. მე-6 სადარბაზო მე-5 სართული. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 96-41-48.

■ ხუთოთახიანი ბინა, საბურთალოს ცენტრში. იოსებიძის ჭუჭაზე. ბინა სარემონტოა, მე-3 სართულზე. საძინებლები იზოლირებული, სარდაფით და ტელეფონით. ჭერის სიმაღლე 2 მ.75 სმ., საერთო ფართი 140 კვ.მ., სამზარეულო 15 კვ.მ., ორი სანიტარული კვანძით. ფასი 60000 ლარი. ტელ.: 36-34-77, იკითხეთ ნუკრი.

■ სამოთახიანი არასტანდარტული ბინა, მეტროსთან „წერეთელთან" მაღალი ჭერით. სარდაფებით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით, ბინა სარემონტოა. მისამართი: ბათუმის ქ. №29. ტელ.: 35-12-29.

■ სასწრაფოდ პრივატიზებული, ერთოთახიანი ბინა, ნუცუბიძის ჭუჭაზე, უმაღლესი რემონტით. ჩაშენებული კარადებით, რკინის კარით. ტელეფონით, დიდი ღია აივნით, სარდაფით. 8-სართულიანი სახლის მე-8 სართულზე. ჭერი გადახურულია თუნუქით. არის მანსარდის გაკეთების საშუალება. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-18-57.

■ ოთხოთახიანი იზოლირებული ბინა გლდანის ა მიკრორაიონში. კორპ. 67, მეექვსე სართული. ჩეხური პროექტი. ახმეტელის მეტროსთან. ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ან ვცვლი ოროთახიან იზოლირებულ ბინაზე საბურთალოზე. ტელ.: 23-59-53.

■ 3-ოთახიანი გარემონტებული ბინა, ბ.ხმელნიცკის ქ.-ზე. ტელ.: 22-25-01, 99-55-61.

■ რუსთაველზე აბაშიძის 4, ოპერის გვერდით სამოთახიანი ლოჯიით, ურემონტო ბინა.
ტელ.: 22-25-01, 99-55-61.

■ სამოთახიანი იზოლირებული, კუთხის ბინა მიშენებით. 4-სართულიანი სახლის მე-3 სართულზე. საბურთალოს ბაზართან, ცაგერის ქ. 3. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 37-52-86.

■ სამსართულიანი სახლი-სახელოსნო, ზემოდან მე-4 სართულით (ან ქირავდება საწყობარეთის სალ-ჩოსთვის ან ოფისისთვის). მისამართი: გამრეკელის ქ. 37 (ნუცუბიძის ჭუჭიდან). ფასი შეთანხმებით. ტელ.: 30-13-72 ან 31-71-68, იკითხეთ ნინო ან ირა.

■ სასწრაფოდ სამოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა გადასასვლელი ხიდის მიდამოებში, მეუნარგიას ჭუჭა 73. ბინა 33. ტელეფონით, საგარაჟე ადგილით, დაშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 18000 დოლარი; მიწის ნაკვეთი 700 კვ.მ. ვენახით, უველანარი მრავალწლიანი ხეხილით, სახლით, სოფ. გლდანის მიმდებარე ტერიტორიაზე. საწყისი ფასი 2800 დოლარი; მიწის ნაკვეთი (600 კვ.მ.) წალმიაწში (უწარმოებელ), სახლი პირველი სართული აშენებულია. საწყისი ფასი 1000 დოლარი.
ტელ.: 96-33-01.

■ ქვემო წყნეთში ორსართულიანი აგურის სახლი დიდი ეზოთი. ფასი 100 ათასი დოლარი. შესაძლებელია გაცვლა თბილისში ოთხოთახიან ბინაზე ქალაქის ცენტრალურ რაიონში. ტელ.: 22-41-06.

■ ერთოთახიანი იზოლირებული ბინა ვაკეში ფინური სამზარეულოთი. ფასი შეთანხმებით.
ტელ.: 22-22-48, ნათელა.

■ სამტრედიაში ორსართულიანი ხუთოთახიანი ბინა. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-22-48, ნათელა.

საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს მიღებას 1996/97 სასწავლო წლისთვის სამკურნალო ფაკულტეტზე (თერაპია, ქირურგია, მეან-გინეკოლოგია, ფიზიოთერაპია-კურორტოლოგია და სხვა).

აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება ბიოლოგიასა და ქიმიაში გასაუბრების შედეგად. ფრიადოსნები ჩაირიცხებიან გასაუბრების გარეშე.

საბუთების მიღება 1 ივლისიდან 25 ივლისამდე 10 საათიდან 16 საათამდე ყოველ დღე გარდა კვირისა.

სწავლის საფასური ხელმისაწვდომია და მისი გადახდა მოხდება ორ ეტაპად.

ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს გაიცემა ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული უმაღლესი სამედიცინო განათლების ერთიანი სახელმწიფო სტანდარტის ექიმის დიპლომი. ინსტიტუტში ასწავლიან აკადემიკოსები, პროფესორები და სხვა.

ინსტიტუტს გააჩნია მაღალბარისხოვანი და უახლესი სამედიცინო ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ბაზები.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ:
თბილისი. 380005. გორგასლის 9. ტელეფონები: 72-37-79, 72-04-67, 72-20-61.

რედაქტორ-გამომცემლები
ვასილ მაღლაფერიძე და პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე,
პასუხისმგებელი მდივანი დავით ნინიკაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7.
ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.